

სახარებისეული „მკალისა“ და „ველური თაფლის“ განმარტებისათვის (მკალი, რომელი არს დანაკისკუდი, თაფლი ველური - მელაღრია)

მაია ბარნაველი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე: სტატიაში განხილულია სახარებაში ნახსენები
იოანე ნათლისმცემლის საკვების *მკალისა* და თაფლი *ველუ-*
რის//*ველისას* მნიშვნელობის განმარტება, თარგმანება.
მათეს და მარკოზის სახარებაში ვკითხულობთ: „ხოლო თა-
ვადსა იოვანეს ემოსა სამოსლად თმისაგან აქლემისა და
სარტყელი ტყავისაი წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა
იყო მკალი და თაფლი ველური“ (მათე, 3:4); „და ემოსა იოვა-
ნეს სამოსლად თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისაი
წელთა მისთა, და ჭამდა მკალსა და თაფლსა ველი-
სასა//ველურსა (მარკ. 1:6).

ტერმინ *მკალისა* და *ველური*//*ველის* *თაფლის* შესა-
ხებ აზრთა სხვადასხვაობა (/დისკუსია) დაწყებულია ადრე-
ული საუკუნეებიდან და დღემდე გრძელდება.

ძველ ქართულ ხელნაწერებში–ბერძნული ჰომილიებ-
ის ან სასულიერო შრომების თარგმანებში, ისევე, როგორც
მათ ბერძნულ დედნებში – და სწორედ ბერძნული დედნიდან
გამომდინარე – ხშირად გვხვდება განმარტებები სიტყვების
მკალი და *თაფლი ველურის*, ანუ *მელაღრიის* შესახებ. ამ
სიტყვათა თარგმანება-განმარტება გვხვდება ასევე ქართულ
ორიგინალურ ტექსტებშიც.

სტატიაში ვეცდებით მოვიყვანოთ იმ შეხედულების
სასარგებლო არგუმენტები, რომლის მიხედვით, ეს ტერმინე-
ბი მხოლოდ მცენარეულ საკვებს აღნიშნავს. ამ თემაზე გამო-
ქვეყნებული გვაქვს სტატია 2007 წელს¹. ახლა, 11 წლის

¹ მ. ბარნაველი, „საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური“, *ბიზანტიზმისა და ქართველოლოგიის* კვ. 268-275, თბ., „ლოგოსი“, 2007

შემდეგ, მოვიძიეთ მეტი არგუმენტი როგორც ძველი ხელნაწერებიდან, ასევე თანამედროვე კვლევებიდანაც და მათ წარმოგიდგენთ ამ ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები: *იოანე ნათლისმცემელი, მელაგრია, მკალი, კალია, დანაკისკუდი, თაფლი ველური//თაფლი ველისა//თაფლი მდელიძისა, ფინიკი*

სახარებაში იოვანე ნათლისმცემლის შესახებ ვკითხულობთ, რომ საკვებად ჰქონდა „მკალი და თაფლი ველური“: „ხოლო საზრდელად მისა [იოვანეს] იყო მკალი და თაფლი ველური“ [15; მათე 3,4.], MT. ἢ δὲ τριφύην αὐτὸν ἀκρίδης καὶ μέλι αἴριον/„და ჰამდა [იოვანე] მკალსა და თაფლსა ველურსა“ [15; მარკ. 1,6]/MK. ἐσθίων ἀκρίδας καὶ μέλι αἴριον. ἀκρίς, ἀκρίδος (გენ.) არის *მწერი-კალია*, ხოლო აკრის/აკრის/იდ (ი) არის *მწვერვალი, წვეროს ზედა ნაწილი*. ბიბლიურ ენციკლოპედიებსა თუ ლექსიკონებში ამ სიტყვის განმარტება არის ცალსახად, როგორც მწერი-კალია, რასაც ზოგჯერ მოჰყვება ხოლმე განმარტება, რომ არსებობს ტრადიცია და ზოგიერთი დღემდე იზიარებს მოსაზრებას, რომ ეს იყო არა მწერი, არამედ მცენარე. ასეთივე მდგომარეობაა *ველურ თაფლთან* დაკავშირებით – ის ხშირად ძველ განმარტებლებთან, მაგალითად, თეოფილაქტე ბულგარელთან, *ველური ფუტკრის თაფლად* მიიჩნევა, მაგრამ ზოგი განმარტავს, რომ ესეც მცენარეა.

ჩვენ შევეცდებით ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე, ამ სიტყვათა ეტიმოლოგიაზე (როგორც ქართულის, ასევე ბერძნულის) დაყრდნობით მოვიტანოთ არგუმენტები, რომ იოვანე ნათლისმცემლის საკვები – ვგულისხმობთ როგორც *მკალს*, ასევე *ველურ თაფლს* – მცენარეული იყო: მოვიშველიებთ ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცულ მასალებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფის – სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს, თანამედროვე კვლევებს.

უკვე ჩვ. წ. პირველი საუკუნეებიდანვე დაიწყო ამ სიტყვების განმარტება, კომენტირება. რადგან იოვანეს შესახებ თავად იესო ამბობს, რომ არც ჰამდა და არც სვამდა [15, მათე, 11, 18;], რომ იყო დედის ნაშობთაგან უზესთაესი, მეორე ელია, წინასწარმეტყველებზე უფრო დიდი, რომლისაგან „სასუფეველი იიძულების“ [15, მათე, 11, 12;]. ამიტომ ძნელი წარმოსადგენი იყო იმთავითვე, რომ იგი ცხოველური საკვებით საზრდოობდა. წმინდა მამები განმარტავდნენ, თუ რა იგულისხმება სიტყვებში *მკალი* და *თაფლი ველური*. ადრეულ საუკუნეებშივე ბერძნულიდან (თუ სხვა ენიდან)

ნათარგმნ და ორიგინალურ ქართულ ხელნაწერებში – იქნება ეს განმარტებები, ცხოვრებანი, ჰომილიები, ეგზეგეტიკური და მეტაფრასული ხასიათის ნაწარმოებები, ხშირად არის განმარტებული და დაკონკრეტებული მათი რაობა.

ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ტექსტში „ცხოვრებაჲ პეტრე ქართველისაჲ“² [18; გვ. 213-263] ერთ-ერთი მოწაფე ჰყვება, რომ მიუახლოვდა სხვა მოწაფეებთან ერთად მამა ესაიას სენაკს და მოესმათ საუბარი, როცა შევიდნენ და ვერავინ იხილეს წმ. მამის გარდა, ჰკითხეს, ვის ესაუბრებოდა და მან უპასუხა: „დიდი იოვანე წინამორბედი და ნათლისმცემელი მოვიდა და მეტყოდა, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა მოვიდეთ და განვიყვანოთ სული შენი“. ხოლო მე ვკითხე დიდსა იოვანეს, „რასა სჭამდი, იყოფებოდე რაჲ უდაბნოს?“ და მან მრქუა მე, ვითარმედ: „*მწუანეთაგან და მცენარეთა და თივათაგან* იყო საზრდელი ჩემი...“ [18, გვ. 253-254].

ისიდორე პელუსიელი (IV-Vსს.) მე-5 და 132-ე ეპისტოლეებში, რომლებიც ეძღვნება იოვანე ნათლისმცემელს, წერდა, რომ ის უბრალოდ ცხოვრობდა, ბალახის თავით და ფოთლებით იკვებებოდა, მარხულობდა. ბერძნული ტექსტი: *Ei oi theoi chrismoi thmainousi tin akrideian, periti h periergos zhtisis tois nousenchs tousous anagynwskousin. Ei toinsun kai broma kai esthmata tis kata theon teleias askiseas en Iwanni tw baptisth epaideuzhmen, Phrix men, ei ion te, pros skelthin akresthisometha, akremosi de botanwn kai fylawn pros olighn trofhn kai aperriton. Ei de tauta, di' astheneian meizon, tpos hmyn estw chreias apashts kai teleashts, h to prosotws dokimasia kai kleusis* [27, col. 183, 184]. *Ti eisin ai akrides, kai to meli to agriou, ois o Baptisths Iwannis etrefeto.*

AI akrides, ais Iwannis etrefeto, ou zwa eisin ws tinez amazws, kantharous apeukota. Mh genoito. All' akremonez botanwn h fytwn. Oute de pa tis esti palin to meli (to) agriou. Di' on tin uperballousan kakasin epedeyksto Iwannis, ouk endeia monh, alla kai trachyti pisan orexin pikrainwn tou swmatos [27, col. 270]³.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი (+1107) ამგვარად განმარტავს ამ სიტყვებს: „ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური“ – ზოგნი ამბობენ, „მკალი ბალახიაო, რომელსაც „მელაგრიასაც“ უწოდებენ, ხოლო ზოგიერთები მასში კაკალს ან ველურ ნაყოფებს გულისხმობენ. ველური თაფლი კი ის თაფლია, რომელსაც გარკვეული ფუტკრები ამზადებენ და ხეებსა და კლდეებში იპოვება“ [8, გვ. 32]//«*H de trof h autou hn akrides, kai meli agriou*». *Tines legousi*

² პეტრე ქართველი//პეტრე იბერი – V ს.-ის ქართველი მოღვაწე.

³ *Istodre Pelusiotas "Peri tis tou Prodromou, kai peri askiseas"*.

βοτανας εἶναι τὰς ἀκρίδας, ἃς καὶ μελαγρα καλοῦσι τινές δὲ, τὰ ἀκρόδρυα ἥτοι ὀπώρας ἀγρίας• μέλι δὲ ἄγριον, τὸ ὑπὸ ἀγρίων μελισσῶν γεωργουµενον, ἐν δένδροις εὗρισκοµενον καὶ πέτραις» [29, col. 173].

ბერძნული *ἀκρίς*, *ἀκρίδις* ჩვენამდე მოღწეულ ძველ ქართულ თარგმანებში⁴ გადმოდის როგორც *მკალი*, *დანაკისკუდი*, *მწუერვალი მდელოძსა*, *მწუანვილი მდელოძსა*, ან განმარტებად *მკალს* ახლავს ეს ჩამოთვლილი სიტყვები და *μέλι ἄγριον* – როგორც *თაფლი ველური/ველისა//მდელოძსა//მელაგრია//მელადრია//წყაროდ მცენარისა მისგან წყლისა*, რამეთუ უნაყოფოსა ადგილსა ესევეთარი სიტკბოებაჲ აღმოცენდა – ამისთვის ეწოდა თაფლ ველურ. თითოეულ მათგანზე ცალკე შევჩერდებით: იოვანე ოქროპირისეულად [11, გვ. 79-82; 11, გვ. 50-51] მიჩნეულ ნათლისღებისადმი მიძღვნილ საკითხავში [11, გვ. 79-82; 11, გვ. 50-51], რომელიც ფსევდოოქროპირის [19, გვ. 51] აღმოჩნდა, ნათქვამია: *მწუანვილსა//მწუანვილთა მდელოძსათა და ველურისა... თაფლისა მჭამელი//თაფლსა ველურსა მჭამელი/წინამორბედი სულიერითა მით ქადაგებითა აღძრავს ეკლესიათა ღმრთისათა“...//«ἐνταῦθα ὁ ἐν ἀκρίσι καὶ μέλιτι τραφεῖς Ἰωάννης, τοῖς ἐρημικοῖς κηρύγμασι, μάλλον δὲ πνευματικοῖς, τὰς Ἐκκλησίας κινήσας»* [26, col. 489-492].

მეტაფრასულ „ზაქარიას დადუმებაში“ [17, გვ. 395] ვკითხულობთ: „განცხადებულად ყოველსავე შინა ვჰპოვებთ იოანეს თანა მსგავსებასა ელიადსსა, რამეთუ: იგი მთასა შინა მკვდრობდა, ხოლო ესე - უდაბნოთა შინა, მას ყორანნი ზრდიდეს, ხოლო ესე ჰამდა *მწუერვალეზსა მდელოთასა“//«ἐκεῖνον κόρακες ἔτρεφον, καὶ οὗτος ἀκρίδας βοτανῶν ἦσθιεν»* [25, col. 786-787].

სინური მრავალთავის საკითხავში [11, გვ. 208] ვკითხულობთ: *მკალისმჭამელი იგი [იოვანე] და თაფლისა ველურისაჲ//ὁ ἀκρίδας ἐκ βοτανῶν ἦσθιων καὶ μέλι ἄγριον*». [26, col. 761 -764].

კლარჯული მრავალთავის (XII.) ერთ საკითხავში (საკითხავი საიდუმლოთა დაფარულთაგანი, „შობაჲ იოვანე ნათლისმცემლისაჲ, ჳხსენებაჲ, ელისაბეთისი“) [9, გვ. 358] განმარტებულია: *მკალი* იგი, რომელ არს *დანაკისკუდი*, *თაფლ ველურ* – არს *წყაროდ მცენარისაგან მისგან წყლისა*, რამეთუ უნაყოფოსა ადგილსა ესევეთარი სიტკბოებაჲ აღმოსცენდა – ამისთვის ეწოდა თაფლ ველურ“. კლარჯული მრავალთავის სხვა საკითხავში ვკითხულობთ: „შენ გეტყვ, დანაკისკუდო, მოიდრიკე თავი შენი ნაყოფითურთ ქუეყნად

⁴ IX ს.-ით დათარიღებული ხელნაწერებიდან მოყოლებული, რომლებიც გაცილებით უფრო ადრეა ნათარგმნი, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მეცხრე საუკუნიდან დაწყებული და შემდეგი პერიოდის ხელნაწერებით

და განძღენ მამა-დედანი ესე ჩემნი! – და მეცხეულად მოდრკა იგი“. საინტერესოა, მერე რა ბედი ეწია ამ დანაკისკუდს: „და რომელნი იყვნენ მათა და უდაბნოთა განშორებულნი კაცნი, აქუნდე მათ საზრდელად. შენ უკუე, დანაკისკუდო, მიიცვალე აწ პირველსავე ადგილსა შენსა! – მაშინ აღდგა დანაკისკუდი იგი წინაშე ჩუენსა და მიიცვალა სამოთხედ“ [9, გვ. 423-425].

„მამათა ცხორებანის“ (XII ს. ხელნაწ.) ტექსტში ნათქვამია: „...და იყო საჭმლად ჩუენდა თივად ველური, რომელ არს ცხენის-ფაფარი [9, გვ. 168]; „...და ვითარ ვერსადა პოვეს ძირი მელაღრიადსა უდაბნოსა მას შინა, მაშინ შეჰვედრა ღმერთსა ჯორცთა საცმარისათვს [10, გვ. 247]; „...ველი იყო მახლობელად და დანაკისკუდოანნი//დანაკისკუდოანი ულუაწად მდგომარენი მცირედ [10, გვ. 33]; „...და აქუნდა დანაკისკუდთაგანცა მცირედ საზრდელი“ [10, გვ. 34]; „...და იყო საზრდელი მისი მდელოთაგან... არარაჲ ჭამოდის, გარნა პური ხოლო და დანაკისკუდი და წყალი სუმად“ [10, გვ. 312]; „განვიდა კრებად მდელომსა მის...[10, გვ. 278]“; „...და დაამკვდრნა [ჯერასიმემ] იგინი [ახალმონაზონნი] ქუაბსა და დაუდვა მათ რჩული, რადთა თითოეული მათი თვსსა ხუთ დღე კვრიაკესა შინა და არარაჲ ჭამოდის, გარნა პური ხოლო და დანაკისკუდი და წყალი სუმად“ [10, გვ. 312]; „...სხუად არარაჲ აქუნდა, გარნა ველურისა თაფლისა ძირი და ლერწმისა გული. და ჭამელ მთეულთა მათ და განძღეს.“ [10, გვ. 63]; „...საჭმლად მათა იყო მდელო“ [10, გვ. 151]; „...მეცხეულად დაჰამდა და დატკბა მხალი იგი..“ [10, გვ. 247]; „...და ჭამდა იგი [წმ. კვირიაკოზ] ძირსა მელაღრიისა-სა//მელაღრისასა და ლერწმისა გულსა [10, გვ. 248].

გელათურ ხელნაწერში ვკითხულობთ: „არცა სართულსა, არცა ცხედარსა, არცა ტაბლასა, არცა სხუასა ესევი-თართაგანსა მოქენე იყო. არა თერძვიდა მიწასა, ...არცა ოფლითა პირისადთა.. ჭამდა პურსა, არამედ ხუთა ვიდრემე მწუერვალნი იყვნენ მისდა საზრდელ“ [16, 563v]//«οὐ κλίης, οὐ τραπέζης, οὐκ ἄλλου τῶν τοιούτων οὐδενὸς ἔδειτο, οὐ γῆν ἥροσεν, οὐκ αὐλάκα ἔτεμεν, οὐκ ἐκ ἰδρωτι προσωπion, ἄρτον ἔφαγεν, ἀλλὰ δεινῶν μὲν ἀκρίδεγ αὐτῷ ἡ τροφή» [22, გვ. 384-400] „და ვითარცა უღონო იყვნეს საზრდელისაგან და არაჲ აქუნდა, ვინაჲ საჭიროსა ზუნებისასა ნუგეშინის იცენ, რამეთუ არცაღა თაფლ ველური იყო უდაბნოსა მას, რომელი-იგი კმა-იყო საზრდელად მათდა! [17, გვ. 461] //«Ἀπορούμενοι τοῖνυν παραμυθίσονται οὐδὲ γὰρ [οὐδὲ] μελάγρια κατὰ τὴν ἐρημον πεφύκει» [28, col. 929].

„...ძირითა თაფლ ველურისადთა და მწუერვალთა ლერწამთადთა იზარდებოდა“ [17, გვ. 462]//»καὶ πάντα παρ’

αὐτὴ διαγαγὼν ἔτη, ῥίζας τε μελαγρίων καὶ ἀκρέμονας καλὰ μῶν
προσίετο» [28, col. 932].

„გამოვიდის იგი [იოვანე ეპისკოპოსი] ქუაბით თვსით
და მიმოვალნ უდაბნოსა და კრებნ მელაღრიასა, რომელ არს
თაფლი ველისაჲ, საჭმელი მეუდაბნოეთაჲ“ [10, გვ. 278].

საინტერესოა, რომ ველური თაფლის ასეთსავე გან-
მარტებას გვაძლევს „განძთა ქუაბი“: „ხოლო იოვანე იყო
უდაბნოთა იორდანისათა ყოველთა დღეთა ცხორებისა მისი-
სათა. და იყო მისა საჭმელად მკალი და თაფლი ველისაჲ
[მკალი], რომელი არს გული მცენარე ფინიკისაჲ, რამეთუ
ვითარცა სულიერი იზარდების თავსა ხისასა, და თაფლი, რო-
მელ არს ცხენის ფაფარი და ბერძულად ეწოდების მე-
ლაღრიო“ [4, გვ. 163].

როგორც ვხედავთ, ამ ბოლო ორ მაგალითში ნახსენე-
ბია თაფლი ველისაჲ და არა – ველური. ეს მაგალითია, რომ
ვაჩვენოთ: ქართულ ენაში ველისა და ველური სინონიმებია
და ნაწარმოებია სიტყვიდან „ველი“, ბოლოსართ „ურ“-ის
დართვით. თვითონ ველი ნიშნავს *მინდორს*, *უტყეო ადგილს*.
ასე განმარტავს მას სულხან-საბა ორბელიანი: „მინდორი –
ველი უმცროსი, მცირე ველი, უტყეო ადგილი“ [12];
„ველური“ დღევანდელ ქართულშიც გარეული ანუ არაკულ-
ტივირებული მცენარის აღმნიშვნელია (ველური, გარეული
ცხოველი ნიშნავს არამომინაურებულ, ტყეში და ველზე
ბინადარ ცხოველს), ველური//მინდვრის//გარეული.
ეტიმოლოგიურად უკავშირდება ბერძნ. აგროს-ს – აგარაკი,
სოფელი, „ყანა, ველი, მალნარი, მტილი [1, გვ. 54], ასევე სიტ-
ყვა აგრიოს-ს – ველური, ველის, გარეული.

ძვ. ქართულში დასტურდება მცენარეთა დასახელება:
ველური ზეთისხილი, „*ველის-ყრდელი*“ (მცენარე), „*შრომან-
ნი ველისანი*“ [15, მათე, 6, 28]//τὰ κρίνα τῶν ἀγρίων. ველური
გრიკი//გრიკი ველისაჲ [2, იერ. 17, 6 გვ. 2612], (საბას
განმარტებით, იგივე მთის ჟოლო [11])//–ἀγριομαρική ἡ; „ჩემი
არს ყოველი მჭეცი მალნარისაჲ//ველისაჲ“ [2, ფსალ. 49, 10,
გვ. 1897]//: «ὅτι ἐμὰ ἐστί πάντα τὰ θηρία τῶν ἀγρίων»; *ველური
ლეღვი* დაჰწერგიან (ექუსთა დღეთაჲ) [1, გვ. 52]. ბერძნ. τὰς
ἀγρίας συκᾶς παραφυσεύουσιν [1, გვ. 52]; *ვირი ველური* –
კანჯარი, საბას განმარტებით [12].

როგორც ვხედავთ ამ ნიმუშებიდან აკრძებს, ὁ (თუ ის ნა-
თესაობით ბრუნვაში – გენეტივში დგას) და ἄγριος, α, ον -
ქართულად თარგმნილია, როგორც *ველური*, *ველის*, *გარეუ-
ლი*, *მალნარის*. მაგალითად, *ველი შუენიერი* [14, გვ. 342];
ნადირნი ველისანი [14, გვ. 342]. (ცხადია, აქ „ველის ნადირი“
გარეულ ანუ ველურ ნადირს ნიშნავს ისევე, როგორც მცენარე
ველური//ველისა//მდელოჲსა აღნიშნავს მინდვრის ანუ

ველურ//არაკულტივირებულ მცენარეს (/ყვავილს). მაგ.: „არიან ხაზარნი კაც ველურ“ [14, გვ.342], მაგრამ: „შენ, ველური ეგე ზეთისხილი, მოგილო ქრისტემან“ [14, გვ. 342] .

სულხან საბას ლექსიკონში [12] გვაქვს ასევე *თაფლი ველურის* განმარტება: „ესე არს ხე, რომელსა ლათინურად ჰრქვიან ერიკა, ურთხლსა ჰგავს. მისის ხილისა და ხისაგან თაფლივით ჩამოეწვეთების, ვიეთნი მანანადაც უჭმოხენ. იგი არს *თაფლი ველური*“. ურთხლი კი ასე აქვს განმარტებული დიდ ქართველ ლექსიკოგრაფს: „(ხე) ძელი ულპოლველი, უთხოვარი, საჯი“ [12]. როგორც ვნახეთ, ველური თაფლი ცალსახად მცენარედ აქვს მიჩნეული სულხან-საბას.

სწორედ ასევე, მცენარედ მიიჩნევენ მკვლევარი რეჰაერუბინი მელაგრიას და აკონკრეტებს, რა სახის მცენარეა თავის სტატიაში „The Melagria: On Anchorites and Edible Roots in Judean Desert“ [30, გვ. 347-352]. ის ამ სიტყვას თვლის ცალსახად მცენარის აღმნიშვნელად და გვთავაზობს საკუთარ არგუმენტებს, თუ რა მცენარე უნდა ყოფილიყო ძველ მეუდაზნოე მამათა ცხოვრებაში აღწერილი საკვები. ის მიიჩნევს, რომ ეს იყო ასფოდელი, ლათინურად – *asphodelus*, რომელიც უხვადაა იუდეის უდაბნოში.

ვნახოთ მკალის განმარტებასთან დაკავშირებით რა სურათი გვაქვს.

სულხან-საბა ორბელიანს დიდხანს უმუშავია სიტყვა *მკალის* განმარტებაზე. უფრო ადრეულ ხელნაწერში (აღნიშნულია ლიტერით – E) წერდა, რომ ეს იყო „მწვერვალი მდელოთა“ და მიწერილი ჰქონდა – *ნათლისმცემელი* – რაც მიგვანიშნებს, რომ ნათლისმცემელთან კონტექსტში ეს სიტყვა განმარტებული ჰქონდა როგორც მცენარე, ხოლო უფრო გვიანდელ ნუსხეებში (ZA) ამგვარად შეცვალა ეს განმარტება: „მკალი (მარკ., 1, 6) ნათლისმცემელი რომელ მკალსა ჭამდა, რომელიმე იტყვიან, მწვერვალსა მდელოთასა ჭამდაო, მაგრამ ტყუილია, მართალი მკალი იყო, რომელსაც არაბნი დღესაც ჭამენ, მოგრძეა, ფრინავს; ხოლო ცოტა უფრო ადრინდელ ნუსხეებში (Cab) დამატებულია: „ელინურმა და ლათინურმა ლექსიკონმაც მართალი მკალი დაამტკიცა და არა მწვერვალი მდელოსა“ [12].

ვნახოთ, როგორ განმარტა ქართველმა ლექსიკოლოგმა სიტყვა *დანაკისკუდი* – ხშირად, *მკალის* პარალელურად, ან *მკალის* განმარტებად გადმოაქვთ სიტყვა *აკრის* (ἀκρις) ჩვენს მთარგმნელ სასულიერო მოღვაწეებს: „*დანაკისკუდი*-(ხე) ფინიკი. თავის მხრივ, *ფინიკი* ასე აქვს განმარტებული სულხან-საბას: „(ხე) ბერძულია, ქართულად *დანაკისკუდი* და *ვალანოს* ჰქვიან“ [12]. მართლაც, ბიბლიაში, „გამოსლვათა წიგნში“, ბერძნული *ფინიკი* გადმოტანილია

ქართულად როგორც *დანაკისკუდი*: „...იყო მუნ ათორმეტი წყაროდ წყალთად და სამეოცდაათი ხე დანაკისკუდისად//დანაკისკუდთა..“ [2, გამოსლვათა 15:27, გვ. 226]. «καὶ ἦσαν ἦσαν ἐκεῖ δώδεκα πεγαὶ ὑδάτων καὶ ἐβδომῆκοντα στελέχη φοινίκων» [20, Exodus, 15, 27].

სიტყვა *დანაკისკუდის* ეტიმოლოგია განხილული აქვს მკვლევარ მ. ივანიშვილს სტატიაში „დანაკის კუდი“, „ბზა“, „ბზობა“ ქართველურ ენებში“ [6, გვ. 149-159]. იგი გვთავაზობს *დანაკისკუდის* ეტიმოლოგიას როგორც ორი სიტყვის: *დანაკი* და *კუდი* – შეერთებით მიღებულ სახელს. საქმე ისაა, რომ ფინიკის პალმის ფოთლები წააგავს დანის წვერს. რადგან ფინიკი არ არის კავკასიის ენდემი, ამიტომ უპირატესობა, მკვლევარის აზრით, სახელის დარქმევისას მიენიჭა პალმის ფოთლების ფორმას.

მასვე აქვს განხილული ქართულ ოთხთავში მცენარეთა სახელებთან დაკავშირებული საკითხები არაენდემური სახეობების შესახებ სტატიაში „მცენარეთა სახელების ნასესხები ფუძეები ქართულ ოთხთავში“. მ. ივანიშვილი თვლის, რომ ეს სიტყვა (*დანაკისკუდი*) წარმოიშვა ქართულ ნიადაგზე ორი სიტყვის შეერთებით *დანაკი* და *კუდი* [7].

საკითხის უკეთ წარმოსაჩენად მოვიძიეთ მასალები ასევე ბერძნულ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონში [1, გვ. 461], და ვნახეთ, რომ ეს ბერძნული სიტყვა (*ფინიკი*) ქართულად გადმოდის როგორც *ფინიკი*, *დანაკისკუდი* - რაც ამტკიცებს, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, ეს ორი სიტყვა სინონიმებია: Φοινίκη, ης, ἡ - *ფინიკი*, [2, I ეზრა, 2, 13], πάλιν φοινίκων ἕως Σηγάρ//ქალაქები იგი დანაკისკუდოვანი ვიდრე სეგორდმდე [2, მეორე სჯულთა, 34: 3] φοινίκας//ხენი დანაკისკუდისანი [2, ეზეკ. 40,26].

საბასეულ ამ განმარტებას მხარს უმაგრებს ერთი ნაწყვეტი „მამათა ცხოვრებიდან“, სადაც ნათქვამია, რომ დანაკისკუდის ფოთლებისგან კალათს წნავდა წმ. მამა. მართლაც, ფინიკის პალმას აქვს ამისათვის ვარგისი ფოთლები: „...არამედ პარეხსა ერთსა წევნ ერთსა ფსჯათსა და ძამასა და მიიღოს ფურცელი დანაკისკუდისად განმგებლისა მისგან ლავრისა და შექმნის ორმეოცდაათი სფვრიდი და მიითუალის იგი ქსენოდაქარსა“ [10, გვ. 86]; ფინიკის და დანაკისკუდის პარალელური ხმარება და *ფინიკის* გადმოტანა, როგორც *დანაკისკუდის*: „მიიღიან საჭმარი მის კვრიაკისად პური და *ფინიკი* და კოკითა წყალი..“ [10, გვ. 313] «τη Κυριακῇ δειλῆς τὸ ἀνάλωμα τῆς ἐβδομάδος λαμβάνων, ἄρτους καὶ φοινίκας καὶ ἐν κυλικήσιον ὕδατος...» [23, გვ. 177]; „...არარად ჭამოდის, გარნა პური ხოლო და დანაკისკუდი და წყალი სუმად.. [10, გვ.312] //«μεδενὸς ἐτέρου

μεταλαμβάνοντα, πλὴν ἄρτου καὶ ὕδατος καὶ φοινίκων» [23, გვ. 176].

იმ აზრის გასამყარებლად, რომ იოვანე ნათლისმცემელი მცენარით მომარბულე იყო, შეიძლება მოვიხმოთ მის შემდგომ მოღვაწე მეუდაბნოე მამების მაგალითი, რომლებიც მცენარეულ საკვებს იყენებდნენ: ჩვენთვის კარგად არის ცნობილი და ლიტერატურაშიც აღწერილია, რომ წმინდა მამები ერთმანეთს ზამთარში ცხოვრების წესით, მარხვით, და, რა თქმა უნდა, მიზამავდნენ ნათლისმცემელს.

ჩვენთვის ცნობილი არცერთი ცხოვრება თუ მოღვაწეობა არ აღწერს წმ. მამათა მიერ ცხოველური საკვების მიღებას. მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუშს ადრეული საუკუნეების ქართული ორიგინალური აგიოგრაფიიდანაც: დიდი ქართველი სულიერი მოღვაწის გრიგოლ ხანცთელის (IX ს.) ცხოვრებაში ვკითხულობთ: „მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებამ, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხოვრება მარტოდ მყოფთა მათ სივრცესა შინა უდაბნოსასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწუანვლითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა“ [18, გვ. 253].

ასევე დიდი ქართველი მამა, ათონზე მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი (XI ს.), როგორც მის ცხოვრებაში არის ორგან აღნიშნული, *იკმნა* (ანუ უარყო, განაგდო) *სრულიად ღვინისაგან და წუელისა, და ჰმოსიედ სამოსლად მისა ქუეშე ძაძად ფიცხელი...*“ [18, გვ. 199], „...ძაძად შეემოსა და უკამლოდ და თავ-ღია, უღვწო და უწუელოდ ვიდოდა გზასა და იწროსა, რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღის პური და წყალი.“ [18, გვ. 188]. სულხან-საბა განმარტავს: „წუელი (წველი CD) (ბალ.) (7, 4 მათე) წველი არს ძირთაგან ვიდრე ქუვილამდე. ხოლო ქუვილი იგი თავ-წარსხმული ოდენ. ნ. ნაწუელარი; ნაწუელარი (ნაწუზლარი ZAb, (ნაწუზრალი Aa, ნაწვერალი CqDE), ყანის ჩალა მონამკალი ZA (ბალ.), ყანის ჩალა BCD (ბალ.) ჩვენი აზრით, სწორედ მონამკალისგანაა (სიტყვა ნაწვერალიც უკავშირდება წვერს, ანუ ბალახის თავს, წვეროს) ნაწარმოები სიტყვა მკალი, უკავშირდება „მკა“-ს და, სავარაუდოა, რომ იოვანე ნათლისმცემელი იკვებებოდა მცენარეთა ზედა ნაწილით, წვეროებით, მდელოთა მწვერვალთ-მართლაც მკის დროს იჭრება სწორედ მიწისგან უფრო დაშორებული ნაწილი ბალახისა თუ მცენარის. ვფიქრობ, მკალი საუკუნეების წინ იყო ორმაგი მნიშვნელობის: 1. ბალახი, 2. კალია, მაგრამ შემდეგ, სავარაუდოდ, დარჩა, მხოლოდ კალიის მნიშვნელობით. კალიას თანამედროვე ქართულშიც ორმაგი მნიშვნელობა აქვს: მწერის გარდა ის მცენარეს აღნიშნავს. ეს არის უდაბნოს ბალახი,

რომელიც აღწერილი აქვს აკად. ნიკო კეცხოველს და შეტანილია ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: „კალია-Salsola crassa, солянка мясистая..“ [3], ასევე გერმანულ-ქართულ და ქართულ-გერმანულ ბოტანიკურ ლექსიკონში [5] ვკითხულობთ: კალია – n. 1. Salsola cali Kalisalzkrout, n. Salzkrout, n. და ლექსიკონის გერმანულ-ქართულ ნაწილში Zalzcraut – 1. Salsola cali – კალია, 2. Glaux maritima – რძეხალაზა.

ზემოთმოყვანილი ნიმუშები ადასტურებს, რომ, როგორც მკალის ექვივალენტად წერია დანაკისკუდი, მწუერვალი მდელოდსა, მწუანვილი მდელოდსა, ან განმარტებად ახლავს ეს სიტყვები, ასევე ველურ თაფლსაც ზოგჯერ ჰომილიათა თუ ცხოვრებათა ბერძენი ავტორები და, შესაბამისად, ადრეული საუკუნეებიდანვე მოყოლებული ქართველი მთარგმნელი წმინდა მამები – დაურთავენ ხოლმე განმარტებას, რა არის ეს ველური თაფლი-მელაგრია (ძველი ბერძნული წაკითხვით, გამოთქმით)//მელადრია - ბიზანტიურ ხანაში „გ“ იკითხება როგორც „ღ“ და, შესაბამისად, გადმოაქვს ის ქართველ მთარგმნელს. თავად სიტყვა მელაგრია არის მიღებული ორი ბერძნული სიტყვის შერწყმის შედეგად: მელი აგრიონ//μέλι ἄγριον.

ლამპეს ლექსიკონი გვთავაზობს სიტყვისთვის μελάγριον, τὸ-განმარტებას-ბალახი, მცენარე, რომელიც აღმოჩენილია უდაბნოში: a herb found in the desert [24, გვ. 840], სოფოკლესის რომანული და ბიზანტიური ხანის ბერძნულ ლექსიკონში ასეთი განმარტებაა ამ სიტყვის: μέλι, ιτο, τὸ-αγριον – honey-dew, upon the leaves of certain trees, რაც ქართულად ნიშნავს: თაფლის ცვარს, თაფლის წვეთს ზოგიერთ (//განსაზღვრულ) ხეთა ფოთლებზე [21, გვ. 742].

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ მელაგრია იგივე ბერძნული μελάγριον-ქართულად არის მელადრია, მელაგრია, რომელიც ცალსახად მცენარის მნიშვნელობითაა და ეს არასოდეს ნიშნავს ველური ფუტკრის „თაფლს“.

მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით და მოცემული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იოანე ნათლისმცემელი ბალახის თავებით და მცენარეებით იკვებებოდა – სახარებაში ხსენებული მკალი და თაფლი ველური მცენარეებია.

ბიბლიოგრაფია

1. ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი. (სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით), ტ. I. „ლოგოსი“, თბ. 2002
2. ბიბლია/ძველი აღთქმა. კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ყველა ხელნაწერის მიხედვით 2 ტომად, თბ. 2017

3. *ბოტანიკური ლექსიკონი*. (ა. მაყაშვილი, III გამოცემა), „მეცნიერება“, თბ. 1991
4. „*განძთა ქვაბი*“, *ძველი ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ძეგლები* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ც. ქურციკიძემ), თბ. 2007
5. *გერმანულ-ქართული ქართულ-გერმანული ბოტანიკური ლექსიკონი*. (შემდგენელი არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე), თბ., 2007/*Deutsch-Georgisches Georgisch-Deutsches Botanisches Wörterbuch*, (verf. von Archimandriten Lazarus (Gagnidze), Tb. 2007
6. ივანიშვილი მ., „*დანაკის კუდი*“, „*ბზა*“, „*ბზობა*“ *ქართველურ ენებში*, „ენათმეცნიერების საკითხები“, I, თსუ გამომცემლობა, 2008
7. ივანიშვილი მ., „მცენარეთა სახელების ნასესხები ფუძეები ქართულ ოთხთავში“: *ქართველოლოგი*, #23 (8), თბ. 2015
8. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, *მათეს სახარების კომენტარები* (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. კოპლატაძემ), „საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა“, თბ. 2005
9. *კლარჯული მრავალთავი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა), „მეცნიერება“, თბ. 1991
10. *მამათა ცხორებანი* (ბრიტანეთის მუზეუმის XI ს-ის ქართული ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა), „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ. 1975
11. *სინური მრავალთავი 864 წლისა* (ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით), თბ. 1959
12. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ორ ტომად, „მერანი“, თბ. 1991
13. *უდაბნოს მრავალთავი* (ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით), „თსუ გამომცემლობა“, 1994
14. *ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონიკური ლექსიკონი*, ტ. I, (ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძისა და მ. შანიძის რედაქციით), „არტანუჯი“, თბ. 2007
15. *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია* (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა), თსუ, თბ. 1979
16. ქუთ. 1 (ხელნაწერი), ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
17. „ძველი მეტაფრასული კრებულები“ (სექტემბრის საკითხავები), *ძველი ქართული მწერლობის ძეგლები*, VII (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. გოგუაძემ), „მეცნიერება“, თბ. 1886
18. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. I, ტ. II (ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით), თბ. 1965, 1967
19. Aldama, A., *Repertorium Pseudochrysostomicum*, Paris, 1965, n. 289
20. Bible, Exodus, 15, 27. <https://www.academic-bible.com/en/online-bibles/septuagint-lxx/read-the-bible-text/>

21. *Greek Lexicon of The Roman and Byzantine Periods, vol. II*, (From BC. 146 to A.D. 1100) By E. A. Sophocles, "Charles Scriber's sons", New York, 190013. "Menologii Anonimi Byzantini saeculi X", Basilius Latysev, Petropoli 1911 (16)
22. Basilius Latysev, *Menologii Anonimi Byzantini saeculi X*, Petropoli 1911
23. Παπαδοπούλου-Κεραμέως, Α., *Ανάλεκτα Ιεροσολυμιτικής σταχυολογίας*, ή, συλλογή ανεκδότων και σπανίων ελληνικών συγγραφών περί των κατά την Εώαν ορθοδόξων εκκλησιών και μάλιστα της των Παλαιστινίων, Τομος Δ, 1897
24. *Patristic Greek Lexicon*, edited by G.W. H. Lampe, D.D., At the "Clarendon Press", Oxford 1961
25. PG. t. 50 (Ed. by J.P.Migne), Paris 1862
26. PG. t. 59 (Ed. by J.P.Migne), Paris 1862
27. PG. t. 78 (Ed. by J.P.Migne), Paris 1864
- 28 PG. t. 115 (Ed. by J.P.Migne), Paris 1899
29. PG. t. 123 (Ed. by J.P.Migne), Paris 1864
30. Rehav Rubin, *Liber Annuus*, "Brepols Publishers Online", 2002, pp. 347-352

